სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 26 02/63

(საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესახებ)

CPV: 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება

ქ.თბილისი 08 ივნისი, 2012 წელი

ერთის მხრივ, *სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლა* (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის მ/შ, **გიორგი გარსიძის** სახით და მეორეს მხრივ, *სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"* (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის **თეიმურაზ მაჩაიძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ტ6" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის N73\ნ ბრძანების საფუძველზე, სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის 2012 წლის 23 აპრილის N4-116 (N03-1\1760) წერილის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.ხელშეკრულების ობიექტია მიმწოდებლის მიერ სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

2. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით გაწეული მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1232,39 (ათასორასოცდათორმეტი ლარი და 39 თეთრი) ლარს დღგ-ს და ყველა სხვა გადასახადის ჩათვლით.

3.ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2012 წლის 08 ივნისიდან 2012 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1.შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის წარმომადგენლების ხელმოწერით.

2. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სააგენტოს არქიტექტურის სამსახურის უფროსს, **ზურაბ ნიკოლაიშვილს**, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან - დირექტორს **გიორგი გარსიძეს**.